



**საქართველო**  
**ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა** N 40 2

18/01/2018

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ რეორგანიზაციის შეწყვეტის თაობაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ბ“ და „დ.ბ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 62-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 61-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საკრებულომ გადაწყვიტა:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ხონის მუნიციპალიტეტის მერს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ (ს/კ 244973187) რეორგანიზაციის (გაყოფის) პროცესის შეწყვეტაზე.

**მუხლი 2.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 მაისის N40 40 განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების რეორგანიზაციის განხორციელებაზე ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.სამტრედია, ძმები ნინუების ქ.N1) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე